დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. **სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება** - განათლების მეცნიერებები// საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდიკა

მოდული I. ისტორიის სწავლების მეთოდიკა
მოდული II. მათემატიკის სწავლების მეთოდიკა
მოდული III. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა
მოდული IV. ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა

2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი** - განათლების მაგისტრი

3. **პროგრამის მოცულობა** - 120 (ECTS) კრედიტი

4. **სწავლების ენა** - ქართული

5. **სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი:**
   - ლია ახალაძე – ისტორიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

   **მოდულების ხელმძღვანელები:**
   - მოდული I. ისტორიის სწავლების მეთოდიკა - ხელმძრვანელი ასოც. პროფ. **ლია ახალაძე**
   - მოდული II. მათემატიკის სწავლების მეთოდიკა - ასოც. პროფ. **თემურ ორმოცაძე**
   - მოდული III. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა -ასოც. პროფ. **ლევან ჯინჯიხაძე**
   - მოდული IV. უცხო ენების (ინგლისური) სწავლების მეთოდიაკ - პროფ. **ემა კილანავა**

6. **სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**
   - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
   - ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგები;
   - გამოცდა სპეციალობაში (საკითხები იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=859) ;
   - კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

7. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები**

წინამდებარე სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდიკა რომლის ძირითადი მიზანია მოამზადოს სწავლების მეთოდიკის მაღალკვალიფიცრებული სპეციალისტები დარგების მიხედვით (*ისტორია, მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა).* თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში მიღებული სტანდარტების საფუძველზე, აუცილებელია მომზადდეს სწავლების მეთოდიკის სპეციალისტები, რომელთა კვალიფიკაცია დაფუძნებული იქნება სწავლების უახლეს მეთოდებს, ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს.

შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა განათლების მეცნიერებები (საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდიკა) აგებულია საქართველოს აკადემიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს, დუბლინის დისკრიპტორის (კვალიფიკაციების სტრუქტურა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის), საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის, ასევე პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტზების საფუძველზე. პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებული თიუნინგის მასალები (საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში რედ. ხულია გონზალესი და რობერტ ვაგენაარი).

სწავლების პირველ წელს მაგისტრები დააგროვებენ სწავლების მეთოდიკის სპეციალისტისათვის აუცილებელ ცოდნას შემდეგ საგნებში: უცხო ენას B 2 დონე, დარგობრივ უცხო ენას, ინფორმატიკას მაგისტრებისათვის, აკადემიურ წერას, პედაგოგიკის აქტუალურ პრობლემებსა და განათლების ფსიქოლოგიას მაგისტრებისათვის და ა. შ.

დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში მაგისტრები მოდულების მიხედვით შეისწავლიან დარგობრივი სასწავლო დისციპლინების მეთოდიკებსა დარგობრივ . პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო პრაქტიკა _ 6 ECTS, კვლევითი კომპონენტი – 30 ECTS;

I. **ისტორიის სწავლების მეთოდიკის მოდულის მიზანი:** გააცნოს მაგისტრანტებს ისტორიის სწავლების მეთოდიკის მიზნები და ამოცანები, საგანმანათლებლო სფეროში ისტორიის სწავლების მეთოდიკის თეორიული საფუძვლები, ჩამოუყალიბოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ისტორიის სწავლების მეთოდებისა და ხერხების, სწავლების ორგანიზაციის ფორმების გამოყენების თვალსაზრისით. განუვითაროს მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკული გააზრების უნარი როგორც ნაციონალური, ასევე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში,

II. **მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მოდულის მიზანია** მოამზადოს მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სპეციალისტი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისათვის. სტუდენტი დაეუფლება მათემატიკის სწავლების მეთოდიკას, მათემატიკის ისტორიასა და

მეთოდოლოგიას, სასკოლო მათემატიკის სწავლების მიზნებსა და მეთოდებს, ამოცანების ამოხსნის პრაქტიკულ მეთოდურ ხერხებს, მოდულში სავალდებულო საგნად ჩართულია ინფორმატიკის თეორია და მეთოდიკა, რომელიც ხელს შეუწყობს მათემატიკის დარგის მომავალ მეთოდისტებს დარგის უკეთ შესწავლაში.

III. **ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მოდულის მიზანია** მოამზადოს საგნის (ქართული ენა და ლიტერატურა) სწავლების მეთოდიკის სპეციალისტი, რომელიც ფლობს კვლევის თანამედროვე მეთოდებს, როგორც ქართული ენის, ასევე ლიტერატურის მიმართულებით, იცნობს სწავლების როგორც ტრადიციულ, ისე ინოვაციურ ფორმებსა და ხერხებს, პედაგოგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სადღეისო მიღწევებს;

IV. **ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის მოდულის მიზანია** მოამზადოს ინგლისურ ენაში სწავლების მეთოდიკის სპეციალისტი. პროგრამის საფუძველზე სტუდენტებს მიეცემათ საშუალება დააგროვონ ცოდნა ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკაში, ინგლისური ენის შესწავლის თეორიასა და უცხო ენის სწავლებისა და სწავლის ძირითად მიმართულებებში. სწავლის შედეგად სტუდენტებს ექნებათ ცოდნა და უნარები, რათა შეძლონ საგანმანათლებლო ცენტრებში ინგლისური ენის მეთოდისტად, შეძლონ ახალი მეთოდებისა და სტრატეგიების მოძიება და კოლეგებისათვის გაზიარება. მოდული უზრუნველყოფს სტუდენტთა გათვითცნობიერებას კომუნიკაციურ უნარებში, პროდუცირებისა და უცხოური ენის სწავლების ზოგადპედაგოგიური ასპექტებში. განვითარებისა და სწავლის თეორიების შესახებ სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებაში;

## 8. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს აქვს დარგის შესაბამისი პროფესიული ცოდნა და უნარ _ ჩვევები სწავლების მეთოდიკაში. მან უნდა შეძლოს საგანმანათლებლო სივრცეში შემოსული მეთოდური სიახლეების პროცესის გააზრება და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება და რეალიზაცია. საგნის/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდიკის სპეციალისტის ცოდნა დაფუძნებული იქნება დარგობრივი კომპეტენციის საგნებში მიღებულ ცოდნაზე.

ა) ცოდნა და გაცნობიერება

**კურსდამთავრებულს აქვს სწავლების მეთოდიკაში სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს სწავლების მეთოდიკაში ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.**

**I.ისტორიის სწავლების მეთოდიკის მოდული.** მაგისტრანტი ფლობს ისტორიის სწავლების მეთოდიკაში ღრმა და სისტემურ ცოდნას, შეძლია ისტორიის სწავლების მეთოდიკაში ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება. ფლობს დარგისთვის აუცილებელ და სავალდებულო კომპეტენციებს, იცნობს ისტორიის დარგობრივი სწავლების სპეციფიკას და ფლობს ამ პრომლემებისათვის აუცილებელ მეთოდებსა და ხერხებს. იცის თეორიული მასალის, ისტორიული წყაროების ანალიზის, სინთეზისა და წარმოჩინების მეთოდები, ხერხები და ფორმები; იცის ეფექტური სწავლების მეთოდები:

სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, როგორც მეთოდისტს, შეუძლია სწავლების ორგანიზების ფორმების წარმართვა თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით. ფლობს კვლევის მეთოდიკის ძირითად ფორმებსა და ხერხებს.
**II.მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მოდული.** მაგისტრანტს მათემატიკის სწავლების მეთოდიკაში აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა. აცნობიერებს დარგში არსებულ პრობლემებს და შეუძლია მოიძიოს მათი გადაჭრის გზები. ფლობს მეთოდისტისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, ხერხებსა და მეთოდთა ერთობლიობას, რაც დაეხმარება მომავალ სპეციალისტს დაეუფლოს დარგის სწავლების მეთოდიკაში არსებული სიახლეების მოძიებასა და დანერგვაში. მათემატიკის სწავლების მეთოდიკაში გამოიყენება მაგალითად, ანალიზი და სინთეზი, განზოგადება და სპეციალიზირება, აბსტრაქცია და კონკრეტიზაცია, ინდუქცია და დედუქცია); იცის მათემატიკისა და ინფორმატიკის სწავლების მეთოდიკის საფუძვლები, სასკოლო მათემატიკის სწავლების მეთოდიკა, ამოცანების ამოხსნის სწავლების სხვადასხვა მეთოდები და ხერხები და ა. შ.
**III.ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მოდული.** მაგისტრანტი ფლობს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში ღრმა და სისტემურ ცოდნას. აქვს ქართული, ენის ლიტერატურის, უცხოური ლიტერატურის სწავლების მეთოდური ხერხებისა და ერთობლიობის საგნის სწავლების შინაარსის, მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების საფუძვლიანი ცოდნა და საკითხების ახლებური ინტერპრეტაციის უნარი. მაგისტრანტს შეუძლია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტიური და ინტერაქტიური ტექნოლოგიების გამოყენება; საგნის დიდაქტიკური პრინციპების გაანალიზება და სპეციფიკური, საგნის შინაარსით განსაზღვრული პრობლემების ინდივიდუალურად გადაჭრა. მაგისტრანტს აქვს ნაწარმოების ჟანრობრივი თავისებურების გაცნობიერების, მხატვრული და არალიტერატურული, ვიზუალური რესურსების, მოდერნისტული თუ პოსტმოდერნისტული შემოქმედების, ღრმა, სისტემური ცოდნა.
**IV.ინგლისური ენის სწავლების მოდული.** კურსდამთავრებულს აქვს ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკაში ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; აქვს სისტემური ხასიათის ცოდნა, რომელიც მოიცავს ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკისათვის დამახასიათებელ ასპექტებს, დავალებების სწორად შერჩევის თეორიებს; ფლობს ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკას, ფლობს სწორი მეთოდოლოგიის შერჩევის უნარს; ფლობს კითხვის, წერისა და ზეპირი მეტყველების სწავლების მეთოდიკას, რაც აუცილებელია დარგის სრულყოფილ სპეციალისტად ფორმირებისათვის. შეუძლია ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება და ცალკეული პრობლემების გადაჭრა;

**ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**
**შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; აქვს სწავლების მეთოდიკაში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისა და ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარი, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;**

**I.ისტორიის სწავლების მეთოდიკის მოდული. მაგისტრანტს შეუძლია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, შეუძლია ისტორიის სწავლების მეთოდიკაში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისა და ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება ისტორიის სწავლების მეთოდიკაში არსებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.**
**II.მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მოდული.** შეუძლია მათემატიკის სწავლების მეთოდიკისათვის ახალ ,გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; აქვს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარი, შეუძლია მათამატიკის სწავლების მეთოდიკაში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
**III.ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მოდული.** კურსდამთავრებულს აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკისათვის ახალ ,გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი; აქვს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი,

ორიგინალური გზების ძიების უნარი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში; , შეუძლია ქართულის სწავლების მეთოდიკაში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
**IV.ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის მოდული.** მაგისტრანტს შეუძლია ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკისათვის დამახასიათებელი დავალებების პრაქტიკაში გამოყენება, შეუძლია ახალ, მულტიდისციპლინარულ გარემოში მოქმედება, აქვს ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკისათვის დამახასიათებელი კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

**გ) დასკვნის უნარი**
განათლების მაგისტრს საგნის /საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდიკაში შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება დარგის მიხედვით; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით სწავლების მეთოდიკის დარგში არსებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და მისი გამოყენება პროფესიულ პრაქტიკაში;

**დ) კომუნიკაციის უნარი**
განათლების მაგისტრს საგნის /საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდიკაში შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების, სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.

**ე) სწავლის უნარი**
განათლების მაგისტრს საგნის /საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდიკაში შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, აქვს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების უნარი და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალი დონე. შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს რამდენად შეესაბამება მის შესაძლებლობებს სწავლის გაგრძელების აუცილებლობა და დაგეგმოს სწავლის გაგრძელება სწავლების მომდევნო საფეხურზე - დოქტორანტურაში.

**ვ) ღირებულებები**
განათლების მაგისტრს საგნის /საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდიკაში აქვს ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი, საგანმანათლებლო სფეროში ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანისა და მისი პოპულარიზაციის უნარი; იცნობს და ხელს უწყობს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას. აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულებების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების მიზანი.

## 9. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

| # | სასწავლო კურსი/მოდული | კოდი | ECTS | საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები | | კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით | | | | ლექტორი | წინაპირობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საკონტაქტო | დამოუკიდებელი | I | II | III | IV | | |
| *სავალდებულო საფაკულტეტო სასწავლო კურსები - 33 კრედიტი* | | | | | | | | | | | |
| 1. | *უცხო - ენა - ინგლისური B 2 დონე* | ENGL M 234 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | ასოც. პროფესორი ეკატერინე ბაკარაძე | წინაპირობა არა აქვს |
| 2. | *დარგობრივი ინგლისური ენა* | ENGL M 235 | 6 | 50 | 100 | | 6 | | | ასოც. პროფესორი თამარ შინჯიაშვილი | ENGL M 234 |
| 3. | აკადემიური წერა განათლების მაგისტრანტებისათვის | EDUC M 201 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | ასოც. პროფესორი რუსუდან ფიფია | წინაპირობა არა აქვს |
| 4. | პედაგოგიკის აქტუალური პრობლემები | EDUC M 202 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | პედაგოგიკის დოქტორი სჯსუ პროფესორი ირმა ქურდაძე | წინაპირობა არა აქვს |
| 5. | განათლების ფსიქოლოგია მაგისტრანტებისათვის | EDUC M 203 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | ასოც. პროფესორი თამარ ჯავახიშვილი | წინაპირობა არა აქვს |
| 6. | კვლევის მეთოდოლოგია | EDUC M 204 | 3 | 35 | 40 | | | 3 | | პროფესორი ჯემალ ჯინჯიხაძე | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| *არჩევითი საფაკულტეტო სასწავლო კურსები* - 9 კრედიტი | | | | | | | 3+3 | 3 | | | |
| 1. | სასწავლო კურიკულუმისა და სასწავლო პროცესების მართვის მეთოდიკა | EDUC M 217 | 3 | 35 | 40 | | | | | ასოც. პროფესორი თამარ შინჯიაშვილი | წინაპირობა არა აქვს |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2. | სწავლების ეფექტური მეთოდები | EDUC M 224 | **3** | 35 | 40 | | | | | ასისტ. პროფესორი ლელა რეხვიაშვილი | EDUC M 202 |
| 3. | განვითარების ფსიქოლოგია მაგისტრანტებისათვის | EDUC M 210 | **3** | 35 | 40 | | | | | ასოც. პროფესორი იზო ბუხულეიშვილი | EDUC M 203 |
| 4. | სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები | EDUC M 225 | **3** | 35 | 40 | | | | | პროფესორი ჯემალ ჯინჯიხაძე | EDUC M 202 |
| 5. | ეროვნული სასწავლო გეგმა | EDUC M 226 | **3** | 35 | 40 | | | | | ასოც. პროფესორი რუსუდან ფიფია | წინაპირობა არა აქვს |
| 6. | პედაგოგიური მიდგომები მულტიკულტურულ საკლასო ოთახში | EDUC M 270 | **3** | 35 | 40 | | | | | ასოც. პროფესორი თამარ შინჯიაშვილი | წინაპირობა არა აქვს |
| | | | | | | | | | | | |
| სავალდებულო არჩევითი მოდულები - 78 კრედიტი | | | | | | | | | | | |
| I | მოდული: ისტორიის სწავლების მეთოდიკა | | | | | | | | | | |
| ა) | *სავალდებულო საგნები* - 30 კრედიტი | | | | | | | | | | |
| 1. | საქართველოს ისტორიის სწავლების აქტუალური პრობლემები | EDUC M 227 | **6** | 50 | 100 | | **6** | | | პროფესორი ზურაბ პაპასქირი | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 2. | მსოფლიო ისტორიის სწავლების აქტუალური პრობლემები | EDUC M 228 | **6** | 50 | 100 | | **6** | | | ასისტენტ პროფესორი კახა კვაშილავა | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 3. | ისტორიის სწავლების მეთოდიკა | EDUC M 229 | **6** | 50 | 100 | | | **6** | | ასოც. პროფესორი ლია ახალაძე | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 227<br>EDUC M 229 |
| 4. | ისტორიული წყაროები და მათი სწავლება | EDUC M 230 | **6** | 50 | 100 | | | **6** | | ასოც. პროფესორი ბეჟან ხორავა | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 227 |
| 5. | მულტიეთნიკური და მულტიკულტურული საქართველო *(ტემპუსის პროექტის ფარგლებში შემუშავებული სილაბუსი)* | EDUC M 208 | **6** | 50 | 100 | **6** | | | | ასოც. პროფ. ლია ახალაძე/ ისტ. დოქტორი ია ჯიჭონაია, ასოც. პროფ. თამარ შინჯიაშვილი/ასოც. პროფ. თამარ ჯოჯუა/ ასოც. პროფ. რუსუდან ფიფია | წინაპირობა არა აქვს |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბ) | *არჩევითი საგნები - 12 კრედიტი* | | | | | | 6 | 6 | | | |
| 1. | ისტორიული აზროვნების განვითარების ისტორია | EDUC M 231 | **6** | 50 | 100 | | | | | ასოც. პროფესორი ლია ახალაძე | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 227<br>EDUC M 229 |
| 2. | ისტორიის წერის მეთოდოლოგია წინათ და ახლა | EDUC M 232 | **6** | 50 | 100 | | | | | ასოც. პროფესორი კახა ფიფია | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 3. | ისტორიული მხარეთმცოდნეობის სწავლება | EDUC M 233 | **6** | 50 | 100 | | | | | ასოც. პროფესორი კობა ოკუჯავა | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 4. | ისტორიული რუკა და მისი გამოყენების მეთოდები | EDUC M 234 | **6** | 50 | 100 | | | | | ასისტენტ პროფესორი კახა კვაშილავა | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 228 |
| გ) | **პედაგოგიური პრაქტიკა** | EDUC M 246 | **6** | 105 | 35 | | | **6** | | | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 227<br>EDUC M 228 |
| დ) | **სამაგისტრო ნაშრომი** | EDUC M 247 | **30** | 65 | 685 | | | | **30** | | სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები |
| | | | | | | | | | | | |
| II | **მოდული -მათემატიკის სწავლების მეთოდიკა** | | | | | | | | | | |
| ა) | **სავალდებულო საგნები - 30 კრედიტი** | | | | | | | | | | |
| 1. | მათემატიკის სწავლების მეთოდიკა I | EDUC M 235 | **6** | 50 | 100 | **6** | | | | ასოც. პროფესორი თემურ ორმოცაძე | წინაპირობა არა აქვს |
| 2. | მათემატიკის სწავლების მეთოდიკა II | EDUC M 236 | **6** | 50 | 100 | | **6** | | | ასოც. პროფესორი თემურ ორმოცაძე | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 235 |
| 3. | ინფორმატიკის თეორია და მეთოდიკა | EDUC M 237 | **6** | 50 | 100 | | | **6** | | ასოც. პროფესორი ინგა გაბისონია | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 4. | მათემატიკური ამოცანების ამოხსნის პრაქტიკუმი | EDUC M 238 | **6** | 35 | 40 | | | **6** | | ასოც. პროფესორი თემურ ორმოცაძე | EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 235 |
| 5. | სასკოლო მათემატიკის სწავლების მეცნიერული საფუძვლები | EDUC M 239 | **6** | 50 | 100 | | **6** | | | ასოც. პროფესორი შოთა ახალაია | EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 235 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბ) | არჩევითი სასწავლო კურსები - 12 კრედიტი | | | | | | 6 | 6 | | | |
| 1. | ალბათობის თეორია და მათ. სტატისტიკა | EDUC M 241 | 6 | 50 | 100 | | | | | ასოც. პროფესორი მზევინარ ფაცაცია | EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 2. | მათემატიკის ისტორია (მეთოდოლოგია) და მათ. სტატისტიკა | EDUC M 242 | 6 | 50 | 100 | | | | | ასოც. პროფესორი თემურ ორმოცაძე | EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 3. | ინფორმატიკის ისტორია და მეთოდოლოგია | EDUC M 244 | 6 | 50 | 100 | | | | | ასოც. პროფესორი ინგა გაბისონია | EDUC M 236 |
| გ) | **პედაგოგიური პრაქტიკა** | EDUC M 246 | 6 | 105 | 35 | | | 6 | | | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 235<br>EDUC M 236<br>EDUC M 237 |
| დ) | **სამაგისტრო ნაშრომი** | EDUC M 247 | 30 | 65 | 685 | | | | 30 | | სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები |
| | | | | | | | | | | | |
| III | მოდული: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა | | | | | | | | | | |
| ა) | *სავალდებულო სასწავლო კურსები* - 36 | | | | | | | | | | |
| 1. | ქართული ლიტერატურის აქტუალური პრობლემები | EDUC M 248 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | ასოც. პროფესორი ნანა კუცია | წინაპირობა არა აქვს |
| 2. | ქართული ენის სწავლების მეთოდიკა I | EDUC M 249 | 6 | 50 | 100 | | 6 | | | ასოც. პროფესორი ლევან ჯინჯიხაძე | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 3. | ქართული ენის სწავლების მეთოდიკა II | EDUC M 250 | 6 | 50 | 100 | | | 6 | | ასოც. პროფესორი ლევან ჯინჯიხაძე | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 249 |
| 4. | ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა I | EDUC M 251 | 6 | 50 | 100 | | 6 | | | ასოც. პროფესორი რუსუდან ფიფია | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 5. | ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა II | EDUC M 252 | 6 | 50 | 100 | | | 6 | | ასოც. პროფესორი რუსუდან ფიფია | EDUC M 202<br>EDUC M 251 |
| 6. | დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ლიტერატურის აქტუალური პრობლემები | EDUC M 253 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | დოქტორი მარინე ტურავა | EDUC M 251<br>EDUC M 249<br>EDUC M 248 |
| ბ) | არჩევითი სასწავლო კურსები - 12 კრედიტი | | | | | | 6 | 6 | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ინტერდისციპლინარული სწავლების საფუძვლები | EDUC M 254 | **6** | 50 | 100 | | | | | ასოც. პროფესორი რუსუდან ფიფია | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 2. | მსოფლიო ხალხთა მითოლოგიის სწავლების პრობლემები | EDUC M 255 | **6** | 50 | 100 | | | | | ფ/ დოქტორი დარიკო ფიფია | EDUC M 248<br>EDUC M 249<br>EDUC M 251 |
| 3. | ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში და მისი სწავლება | EDUC M 256 | **6** | 50 | 100 | | | | | ასოც. პროფესორი ნანა კუცია | EDUC M 248<br>EDUC M 249<br>EDUC M 251 |
| **გ)** | **პედაგოგიური პრაქტიკა** | EDUC M 246 | **6** | 105 | 35 | | | **6** | | | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 248<br>EDUC M 249<br>EDUC M 251<br>EDUC M 254 |
| **დ)** | **სამაგისტრო ნაშრომი** | EDUC M 247 | **30** | 65 | 685 | | | | **30** | | სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები |
| | | | | | | | | | | | |
| IV | **მოდული: ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა** | | | | | | | | | | |
| ა) | **სავალდებულო სასწავლო კურსები - 36 კრედიტი** | | | | | | | | | | |
| 1. | ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების თეორიული საფუძვლები | EDUC M 258 | **6** | 50 | 100 | **6** | | | | ასოც. პროფესორი თამარ ჯოჯუა | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 2. | ლექსიკოლოგია მეთოდისტებისათვის | EDUC M 259 | **6** | 50 | 100 | | | **6** | | ასისტ. პროფესორი ინგა მორგოშია | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 258 |
| 3. | კითხვის სწავლების მეთოდიკა | EDUC M 260 | **3** | 35 | 40 | | **3** | | | ასოც. პროფესორი ნანა ახობაძე | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 4. | წერის სწავლების მეთოდიკა | EDUC M 261 | **6** | 50 | 100 | | **6** | | | პროფესორი ემა კოლანავა | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| 5. | ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების (დრამის ენა) | EDUC M 262 | **6** | 50 | 100 | | | **6** | | ასისტ. პროფესორი დიანა მიქელაძე | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 258 |
| 6. | ლინგვისტიკა მეთოდისტებისათვის | EDUC M 264 | **3** | 35 | 40 | | **3** | | | ასოც. პროფესორი მაია დარასელია | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | EDUC M 258 |
| 7. | ინგლისური ლიტერატურის ისტორია | EDUC M 265 | **6** | 50 | 100 | | **6** | | | დოქტორი<br>მ. ნახუცრიშვილი | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203 |
| ბ) | **არჩევითი სასწავლო კურსები - 6 კრედიტი** | | | | | | | 6 | | | |
| 1. | ფონეტიკის სწავლების მეთოდიკა | EDUC M 266 | **6** | 50 | 100 | | | | | ასოც. პროფესორი<br>თამარ ჯოჯუა | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 258 |
| 2. | ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები | EDUC M 267 | **6** | 50 | 100 | | | | | ასოც. პროფესორი<br>მანანა შელია | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 258 |
| გ) | **პედაგოგიური პრაქტიკა** | EDUC M 246 | **6** | 105 | 35 | | | 6 | | | EDUC M 201<br>EDUC M 202<br>EDUC M 203<br>EDUC M 260<br>EDUC M 258<br>EDUC M 261 |
| დ) | **სამაგისტრო ნაშრომი** | EDUC M 247 | **30** | 65 | 685 | | | | **30** | | სასწავლო გეგმით გათვალისწინებუ ლი საგნები |
| **ს უ ლ - 120 კრედიტი** | | | | | | **30** | **30** | **30** | **30** | | |